

ქუთაისის ამხანაგობის გამომცემა
№ 12

ზ ვ ი მ ა

ქინაქინის ამბავი

ქანლის თხზულებიდან გამოკრებილი

დრ. ივ. ყიფიანის-მიერ.



ქუთაისი
სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძისა.
Типография Киладзе и Хеладзе.
1896

Handwritten signature in purple ink at the top right.

Handwritten notes in blue ink on the right side, including the number 1858 and other illegible text.



ქუთაისის ამხანაგობის გამომცემა
№ 12

0. 222

წიგნი

ქინაქინის ამბავი

(ქანლის თხზულებიდან გამოკრებილი)

დომ. ივ. ყიფიანის-მეორე.

36471



ქუთაისი, 1896

სტამბა ი. ძილაძისა და ი. ხელაძისა.

Типография И. Киладзе и И. Хеладзе.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Февраля 1896 г.



ზვიმა

ქინაქინის ამბავი.

(ქანლისის თხზულებიდან გამოკრებილი).



საყვარელო ძმაო თეიმურაზ! შენი წიგნი მომივიდა და სხვათა შორის ამასაც მწერ, რისაგან არისო, რომ, სადაც რა ამერიკის ამბავი ამომიკითხავს, იქაური ხალხი ყოველთვის ინდოელებად იხსენიება და სად ამერიკა, სად ინდოეთიო?

მე როგორც გამიგონია, — ქრისტეფორე კოლუმბი დასავლეთით უკიანეს რომ მიეცა, ამას ფიქრობდა: სხვანი აღმოსავლეთით მიდიან ინდოეთს და, აცა თუ, მე დასავლეთით არ მივადგეო. იარა, იარა და ამერიკას წააწყდა. — რაც მაშინ იქ ხალხი ნახეს,

ინდოელები ესენი არიანო, სთქვეს და დარჩათ მას აქეთ ეს ერთი საზოგადო სახელი იქაურს მებატონეებსაცა — კაციკებსა თუ ინკებსა, და იმათს ქვეშევრდომებსაცა, ჰეჭულებს, მესიკელებს, ნეჩეზებს, ირუკელებს, სიმინელებს და სხვას ყველასა, ვინცა ვინ იქ იყვენ.— ჩვენსას რომ ვამბობთ, ყველანი ქართველები ვართო: ქართლები, კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, აქარლებიცა, ზოგს ესეც უკვირს, თუმცა ყველანი ერთის შთამომავლობისანი მაინცა ვართ და ერთის ძირითადი ენით ვლაპარაკობთ. აფხაზებსა და სვანებს ვარდა ლაპარაკში ზოგან და ზოგან დიდი ცვლილება არ არის, მართალია: დიახ ბატონო, ჰო ბატონო, ქო ბატონო, კი ბატონო:—ან: აქ მო, აქ მობძანდი, აქანა მობძანდი, აქანეი მოჰრთე, აშ მორთი, — მაგრამ დედა-ენა კი ერთია.— ზევით დასახლებულს ამერიკელებს, როგორც ჩვენ სპარსული არ გვესმის და ლეკური, ისე ერთმანერთისა არა ესმით-რა. მაგრამ, რა-კი ევროპიელებმა ერთხელ და ერთხელ ამერიკელებს ინდოელები უწოდეს, რალა გადაათქმევინებდათ. ზანა არა, იცოდენ და აღიარებდენ კიდევცა,— შემცთარნი ვართო, მაგრამ თუ ერთხელვე დაიჟინა რამე, ძნელადლა მოიკვეთინებს. იმდენი დღეგრძელობა მე და შენა გვქონდეს, რამდენი სხვა შეცთომილებითაც ესახელებინოსთ იქ თავი ჩვენს ევროპიელებსა და რამდენი საზარელი საქმე იმათ იქ მოეხდინოსთ. შიგა-და-შიგ კი

ზოგიერთი კაი საქმეც მომხდარა, ღვთის წინაშე...

მკ! ზარემ ერთს ისტორიულს ანბავს გიანბობ, და ალბათ შევიტყობთ, რასაც იტყვი.

რასაკვირველია გახსოვს, ჩემო **თეიმურაზ**, რომ სულ პირველათ ვინც **ამერიკა** აღმოაჩინა და დააპყრა, ისპანიელები იყვენ ისინი. **ქორტეზისა** და **პიზარროს** ანბები რომ დავწრილებით მოიხსინო, ზღაპარ-სიტყვაობა გეგონება და იტყვი, ნეტავი ზოგი მაინც სიცრუე იყოს და სხვა არა მინდა რაო.

ისპანიელები შევიდენ იქა მეთუთხმეტე საუკუნეში, 1492 წელსა,—და ახლა რომ ანბავს გიანბობ, ეს მოხდა მეჩვიდმეტე საუკუნეში: ორასი წელიწადი თუა მასაქეთ.

ინდოელები—ახლა რალა გაეწყობა, ჩვენც ასე უნდა ვთქვათ ხოლმე,—ინდოელები ბოროტებით გულსავსენი იყვენ მაშინ თავისს ახალ ბატონებზე. **მამაპაპათავან** გაგონილი მრავალი საქმე წარმოუდგებოდათ თვალწინ ისპანიელების უღთობისა და უზომო მტარვალობისა. **მმონებოდენ**, მართალია, მარა დამორჩილებულნი-კი არა ყოფილან.—**არ** ვიცი ამ აზრს შენც ასე გაყოფ თუ არა: ისპანიელებმა რომ აარაღით დაიპყრეს ის ქვეყანა, ხალხიც იარაღისავე შიშით დაიმონეს და არა იმ უფლების სიმართლითა, რომელსაც ნებით ემორჩილება ხალხი. **მმონებოდენ-მეთქი**, ამ მიზეზით ვანბობ.—

ვერუს დედა ქალაქს **ლიმაში** გამგებელად და

ბრძანებელად იჯდა მაშინ **ვიცეროი** (კოროლის მოადგილე), კაცი ისეთი ბოროტი და უწყალო, რომ რაც იმის წინა-მოადგილებს სიძულილი ჰქონდათ ხალხში დათესილი, ამათ ერთი ორად გადააქარბა, თუ-ღა გადაქარბება შეიძლებოდა.—**მინისტრად** ყავდა ამ ვიცეროის მდივანი, უარესათ შეუბრალებელი, მკაცრი, ანგაარი, მოქრთამე, უძღები. **ინდოელებს** ბატონზედ ამისაგან უფრო ქონდათ თავი მობეზრებული.—**მრთს** კარგ სალამოს გადაბრუნდა ეს შენი მდივანი და ხმის ამოღება აღარ დასცალვებია, ისე შენი ჭირი წაიღო.—გამოვარდა ხმა, ინდოელებმა მოწამლესო.

დიდი სიმკაცრით შეუდგენ გამოძიებასა; და, როგორც ჩვენშიაც ხშირათ მომხდარა, შენს მტერს ნურა აღმოუჩენია-რა, რომ მომწამლავი ვერ აღმოაჩინეს.

ახლა ამაზედ შესდგა დრტვინვა და ყაყანი ისპანიელებში, რადგან ეს მაგალითი პირველი არ იყო და არცა ვის იმედი ქონდა, რომ უკანასკნელი ყოუილიყო, ყველანი დარწმუნებულნი იყვენ, რომ ინდოელებმა იცოდენ საწამლავები; ბევრჯელ კიდევ დაუმტკიცეს, კიდევ გამოსტეხეს, და წამლის სახელი კი მაინც ვერას ღონისძიებით ვერ ათქმევინეს და ვერცა რა საწამლავი გამოაჩენინეს.

ამასობაში ვიცეროიც გამოიცვალა და იმის ადგილს განწესდა გრაფი ვინმე, გვარად **სინჩონ**,—კაცი ახოვანი, ზრდილი, ღმობიერი, ყოვლის სიკეთით შემკული და ამასთან ახალი ნაქორწინევი. **ის** იყო

ცოლად შეერთო მშვენიერი ყმაწვილი ქალი, ისიც გულის ღმობიერებით, ზრდილობით და სიმშვიდით თითქმის უმაგალითო და ისეთის სიყვარულიანის გულის მექონი, რომ ქმარი სწორეთ თავს ერჩივნა.—

— ჩემო სიცოცხლევ, თან რომ არ წამოკვცვე, არ შეიძლებაო, ეუბნებოდა გრაფსა.—

— ჩემო ნეტარებავ, ღმერთმან ხომ იკის დიდათ მიმძიმს შენი მოშორება, მაგრამ რამდენსამე ხანს აქ უნდა დარჩე, მანამ იქაურ საქმეებს გავიგებდე და დავაწყობდეო, ეუბნებოდა ქმარი გრაფინას.

ბაგონილი რომ ქონდა ინდოელების ანბავი, იმათი დაუძინებელი მტერობა და სიძულილი ისპანიელებისადმი, ცალკე ქმარი იშიშვიდა: ამ ჩემ ცოლს ბოროტება არა შეამთხვიონ-რაო; ცალკე ცოლი ანბობდა: მარტო როგორ გავუშვა ჩემი გრაფი იმ ქვეყანაში, სადაც იდუმალი შეთქმულება და შურისგება მარადღე დი მარადწამს ემუქვრიდეს და გარს ეხვეოდესო.

რაც რამ უკანასკნელი ანბები იქიღამ ისმოდა, ზოგი გავრცელებული, ზოგი უფრო შესაზარათ გადათქმულ-გადმოთქმული, აქ უსათუოთ ასე უნდა ეფიქრებინათ, რომ ინდოელები არიან მონანი ბოროტნი, გამომჩინებლობით მორჩილნი და ერაგულნი, ნამდვილად-კი ყოველთვის გამზადებულნი ჩუმს ღალატზედა და ქურდულს კაცკვლაზედ.— ანბობდენ, საოცარი რამ და გონება მიუწდომელი წამლები იციან იმ ქვეყანაშიო.—

რამდენიც ამისთანა საზარელი ანბავი ესმა გრაფინას, იმდენი უფრო გადიწყვიტა, უსაცილოთ თან უნდა წავყვე ჩემს ქმარსა და ყური ვუგდო ისეთის მღვიძარებითა და გაფთხილებითა, როგორცა ტრფიალსა და ერთგულს მეუღლეს მართებსო.—

პრა გვანებია ჩვენს პატინასაო, შენც იტყვი.

ამნაირი გარდაწყვეტილება, მეტადრე ამისთანა ტრფიალსა და სულში ჩასაძვრენს ცოლიკასა, მოდი და შენ მოაშლევინე, თუ გიყვარდე.—

სხვა ისპანიელს ქალებს გარდა, რომელიც ლიმაში უნდა წაეყვანა გრაფინას, ერთი თან შეზდილი და გულითადი მეგობარი იყო იმისი, სახელად ბეატრისა.— ცოტათი რითიმე თუ იყო ბეატრისა გრაფინაზედ ხნით უფროსი, თორემ როგორც ის გრაფინას დასტრფოდა და ეალერსებოდა, მშობელი დედა თუ არის იმისიო, იტყოდენ. ღიღათ ეცადა ბეატრისა, მრავალს ეხვეწა, მრავალს ევედრა, რომ განზრახვა მოეშლევინებინა გრაფინასათვის ამერიკაში წასვლისა, და რომ ვერა გააწყო-რა,—მაშ მეც უნდა გამოგყვე, შენი მოშორება არ შემძლიაო, და გაყვა თანა.

ღიღი სიხარულიც-კი შეუდგათ ინდოელებს, ვიცეროის გამოცვლა რომ შეიტყეს; და არც მაგდენათ გულის ახალს ბატონზედ შეიცვალეს. მეც ისპანიელიაო, ეგეც ისე უსამართლო, ანგარი და მტარვალი, როგორც სხვანი ყოფილანო. რომ ესმოდათ, ტკბილის ხასიათისა არისო, კაცთმოყვარე და მართლმსაჯულიო, ისინი ანბობდენ,—მაინც ისპანიელიაო;

და ამას რა-კი იტყოდენ, სწორეთ რაც უკიდურეს სიძულილს შეეფერება, ისა ვჭთქვითო, ეგონათ. იმათი მძვინვარე მგრძნობარება ჯერ არ იყო დამშვიდებული სარწმუნოებითა;—არცა ვინა ჰზრუნავდა მაშინ, რომ ეცნობებინათ საღვთო ზნეობა ქრისტიანული; ზოგი ერთ წესის აღსრულებას ასწავლიდენ, მრთალია; და ისევ თავისს წარმართობაზედ და კერპთაყვანისცემაზედა სდგანან, თუ აღარაო, ამას-კი ყურს არავინ უგდებდა.

ის ქვეყანა რომ ევროპიელებმა დაიპყრეს, თვალი, ოქრო და სხვა ამნაირი საუნჯე ხალხმა იმათ მიანება და სხვა-კი, რაც კაცობრიობისათვის უფრო გამოსაღეგი გააჩნდათ რამე, ის-კი ასე დაუკრძალეს, რომ ევროპიელებს ეჭვიც არა ააღებინეს-რა.—**თ**ვალის მიმტაცებელი სიმდიდრე იმათა და მართლა სასარგებლო ჩვენაო.—

ინდოელებმა კარგად იცოდენ, რაც ღვთასაგან განაჩენი იპოვებოდა იმათს ქვეყანაში გესლის გამქარვებელი, თუ სასწაულებრ გამკურნავი უმძიმესის სენისა და ავათმყოფობისა. **ი**მათ გარდა სხვამ არა ხორციელმა კაცმა არ იცოდა, რა სულზედ მისწრებითი თვისება ქონდა ქერქს ერთის ხისას, რომელსაც ეწოდებოდა ქენქინა, ანუ ქინაქინა, და იდნოელები საშინელის ფიცით იყვენ შეკრულნი, რომ არა ევროპიელისათვის არ გაეცათ ეს საიდუმლო, რაც უნდა განსაცდელი მისდგომოდათ.

მძიმედ იყვენ დამონებულნი, მაგრამ თავისი

შინაური გამგებელობაც-კი ქონდათ რაღაცა საბრალო ინდოელებსა. უფროსი კაცები ჰყავდათ ამორჩეული და ამათში პირველს უფროსს ნება ჰქონდა, რომ, როდესაც საჭიროდ არჩევდა, ხალხი შეეკრიბა ბნელს ღამეში და უცნაურს სადმე ალაგსა; ხან შეთქმასა და ფიცს განაახლებინებდა, ხან სასიკვდილოთ ევროპიელს დაუსახელებდა ვისმე და შენს მტერს ნულარა შველებია-რა, როგორც აქ დასახელებულს აღარა ეშველებოდა-რა ხოლმე.— ამნაირს კრებას რო დაკლებიყო ვინმე თუ არ მდებიარე ან უასაკო, ყოვლად შეუძლებელი იყო, გინდ სოფლათ მცხოვრები ყოფილიყო,— გინდ ვიცეროის სასახლის მოხელე ვინმე, ან სახასო მუშად გაყვანილი. ასეთს უდაბურს რასმე ადგილს შეიკრიბებოდენ, რომ არა თუ წყვდიადს ღამეში, დღისითაც იმათი მიგნება ვერა ევროპიელს ვერ მოეხერხებინა.

ამ დროს იმათში პირველი უფროსი კაცი იყო ხიმეო.

თუმცა ბუნებით კეთილი კაცი იყო ხიმეო და სულგრძელების თვისებისა, მაგრამ სხვა და სხვა უბედურებისაგან და ევროპიელების უსამართლოებისაგან აღშფოთებული ქონდა გული და დახშული ყოვლის ღმობიერის გრძნობისათვის. ღლითი-დღე გულის წყრომა გულის წყრომაზედ ემატებოდა ხიმეოს, ასე რომ ბოლოს დროს სულ გაბარბაროსებული იყო და სიბრალულისა აღარა ესმოდა-რა. მსეც-კი უნდა ვთქვათ, სულმოკლეობასა და საწამლავის შეპარებას ასე ერიდებოდა ხოლმე, რომ ამგვარი შურისგების

იარალი არცა სად თვითან მოუხმარებია და არც-
არავისთვის ნება დაურთავს.

ხიმეოსა ჰყავდა ერთი შვილი, სახელად **მანშირ**,
დიდათ საყვარელი მამისა და სამის წლის ნაქორწი-
ნევი **ზვიმა**ზედ. **ზვიმა** იყო ლიმელი ქალი და არც
იმ ქალაქში, არც იმ არემარეზედ ინდოელებში
იმის უმშვენიერესი არავინ იპოვებოდა. **მ**რთი ორის
წლის ვაჟი ამათაცა ყავდათ, რომელსაცა დასტრფო-
დენ და დახაროდენ. **მ**რთი სიტყვით, იმათს პირუტყ-
ულს მოწებაში ყოფნას რომ დავივიწყებდეთ, სწო-
რეთ ბედნიერება სუფევდა **ხიმეოს** სახლში: **ზვიმა**
მიაჩნდა მამამთილს სასიქადულო რძლად, ქმარს ნამ-
დვილ ბედნიერებად, ინდოელებს სამაგალითო ქალად
და თვითან ყოველი თავისი სიცოცხლე და სიხარუ-
ლი დამყარებული ქონდა ქმრისა და შვილის სიყვა-
რულზედ და მოხუცებულის მამამთილის პატივისცე-
მაზედ.—

ხიმეოს მომდევნო მეორე უფროსი კაცი იყო
აზან, ინდოელებში სხვაზედ ყველაზედ უძლიერესი.
იმის მხეცურ მძვინვარებასა და სიმძაფრეს ვერა ქვეყ-
ნიური სათნოება ვერა ამშვიდებდა-რა და აღსავსე
იყო მარად უზომო გულის წყრომითა. **როგორც**
ხიმეო, ისე **აზან**, ორნივე ანბობდენ, ბრწყინვალე
შთამომავლობისანი ვართო და მართლა, სხვანიც
იტყოდენ, ინკათ გვარისანი არიანო. **ი**ნკა, როგორც
მოგეხსენებათ, წოდება იყო უწინდელის **პერუს**
ხელმწიფეებისა.—

ახლის ვიცეროს მოსვლის წინაღობებში, ხიმეომ ერთს შუალამეს შეჰკრიბა ხალხი სიმრთელის ხის სერზედა. სიმრთელის ხე ერქვა ქინაქინის ხეს.—

შველანი რომ შეიყარენ: „ძმებო და მეგობრებო, — მოუყვა ხიმეო, — ახლა სხვა მტარვალმა უნდა იბატონოს ჩვენზედა; დღეს ან ხვალ მოვა კიდეცა და ჩვენი აღოქმები უნდა განვიმეოროთ. თუ არ ღამის სიბნელეში და თუ არ ამისთანას უღაბურს ადგილს ხომ მაინც ვერსად წამოვსთქვამთ. ზაი, ჩვენი ბრალი! მზის უბედური შვილები *) თავს ვერსად გამოვჰყოფთ, თუ ღამის წყვილიადაში არ გავეხვენით. — განვიმეოროთ, ძმებო, ჩვენი ფიცი და აღთქმა ამ სიმრთელის ხის იმრგვლივა, რომ რაც საიდუმლო ჩვენა გვაქვს, სამარადისოთ დაცული გვქონდეს.“

— განვიმეოროთ, განვიმეოროთ, ხმა ჰყო ხალხმა.

მაშინ წამოდგა ხიმეო, ხალხი გარს შემოიყენა და მალლის ხმით სთქვა და სხვათაც ათქმევინა შემდგომი ფიცი:

„**მ**ფიცავთ სამარადისოდ დავმალოთ შვილთა ვეროპიისათა ზეციერი ნიჭი საღმრთოსა ხისა ამის, და უკანასკნელი ესე სიკეთე ჩვენი, რაცაღა დაგვჩენია მამაპაპათაგან. **ზ**აი, იმ ორგულს და ფიცის გამტეხსა, ვინც შეცთომითა, თუ შიშითა, თუ სიბრალულითა, ან სხვა რითაც უნდა იყოს მიზეზითა, ამ

*) ინკები, ანუ პერუს ხელმწიფეები ანბობდენ, მზის შვილები ვართო.

ჩვენს საიდუმლოს გასცემს და აცნობებს ევროპიელებსა, რომელთაცა სჯული დაგვირღვიეს, ხელმწიფება მოგვიშალეს, ქვეყანა აგვიოხრეს და ჩვენ უძლები უღელი დაგვადეს! **3**აი, იმ სულმოკლესა, ვინც ამ ჩვენს სიმრთელის საუნჯეს მიანიჭებს ვისმე ჩვენთ დამმონებელთაგანსა და დაივიწყებს, რომ იმათმა მამაპაპებმა ტაძრები დაგვინგრიეს, ქალაქები გადაგვიწვეს, სოფლები და მიწა-ყანები გაგვივერავეანეს, გვიწამეს მამაპაპები უმაგალითო წამებითა, იმათი სისხლით მორწყეს ქვეყანა ჩვენი და ოჯახობა შეგვიგინეს... თვალი და ოქრო რაც წაგვართვეს, წაგვართვეს ეს ერთი ნიჭი მაინც ჩვენთვის შევინახოთ... **თ**უ ჩვენში მოლალატე გამოჩნდა ვინმე, ვფიცავთ იმის ძირიანათ ამოფხვრასა, გინდ მამა იყოს ჩვენი, გინდ ძმა და გინდ შვილი; თუ ცოლშვილის პატრონი იქნა ვინმე, ვფიცავთ იმის ცოლშვილისაც გაწყვეტასა და სახლის გაცივებასა, თუ თვით იმ ცოლმა ან შვილებმა არ გამოგვიცხადეს იმისი ღალატი; და თუ შვილები ძუძუმწოვარნი არიან, ვფიცავთ იმათს გაჟლეტასა, რომ საუკუნოთ ამოვარდეს ჩვენში სახსენებელიცა ჩვენის მოლალატისა.—**ძ**მებო და მეგობრებო, სულითა და გულით წამოსთქვით თქვენცა ფიცითი აღთქმა ესე, წინაპართა ჩვენთაგან დაწესებული და ჩვენგანცა აქ რაოდენჯერმე თქმული.“

— **3**ფიცავთ, ვფიცავთ,—დაიძახა ხალხმა,— ვფიცავთ ამ აღთქმის აღსრულებასა, ვინცა ვინ იყოს ამ ჩვენის საიდუმლოს გამცემი; ვფიცავთ ამ საიდუმ-

ლოს დაცვასა შეურყეველათ, რაც უნდა ტანჯი და სასიკვდილო წამება მოგვადგეს.—

— **ზ**ახსოვდესთ, სთქვა ახლა მხეც-მსგავსმა **ა**ზან-მა, გახსოვდეთ, რომ ჩვენის დამონების პირველს დროებაშიაცა ჩვენი მამაპაპები ათასობით იტანჯებოდენ და იხოცებოდენ, თავი სიკვდილისაგან-კი არავის დაუხსნია ამ საიდუმლოს გაცემითა და არც ამ ორას წელიწადში გაცემულა ვისგანმე; და თუ ახლა აღმოჩნდა ვინმე ჩვენში გამცემი, ვფიცავ, ამ ჩემის ხელით დავჰკლა და, თუ ცოლი ჰყავს ან შვილი ძუძუმწოვარი, ამავე ხელით გავწყვიტო ყველანი“.

მს **ა**ზანის დამუქრება უსაგნო არ იყო. **ვ**ან-მირი სძულდა, **ხ**იმეოს შვილი, არათუ იმისთვის, რომ ისპანიელების სიძულილი სხვაზედ ნაკლებათა ჰქონიყო, იმისთვის უფრო, რომ შეშურდა, რათ არის ისეთი ბედნიერი, რომ ცოლად მშვენიერი **ზ**ვიმა ჰყავსო და იმასთან შვილი სასიხარულოო.—

შური ყოველთვის ბოროტებაა და ბოროტება ყოველთვის უსამართლოება, თუ დაიჯერება.—

„**ჰ**ეი **ა**ზან!—უთხრა **ვ**ანმირმა,— შეიძლება ფიცის ერთგულიც იყოს კაცი და არც მხეცობა იქონიოს. **შ**ენი მუქარა ვერც არავის შეაშინებს და არც არავის გამოადგება; ვინ არ იცის, რომ თუ სისხლი გწყურია, შენ არც ბრალიანს დაუწყებ ძებნასა და არც უბრალოს!..“

ზანრისხებულმა **ა**ზანმა რომ პასუხი დაუპირა,

ხიმეომ შეატყუო მაშინვე და უთხრა: არც დრო არის, არც რიგი ამ გვარის ლაპარაკისაო; რადგან ფიცი გათავებული იყო, კრებაც დაჰშალა და ყველანი თავ-თავისად წავიდ-წამოვიდენ.—

პრას მიგვიხდნენო, ფიქრობდენ, და ისპანიელებს პირში ყოველთვის მორჩილებითა და პატივისცემით ექცეოდენ.

ამ მიზეზითა ახალის ვიცეროისა და იმის მეუღლის მისაგებებლათ ლიმას გარეთ იქაური დარჩეული ყმაწვილი ქალების ჯარი დაამწკრიეს; ყველანი სადღესასწაულოთ მორთულნი იყვენ და საფიანდაზედ ხელში მშვენიერი ყვავილები ეჭირათ. ზვიმაც რასაკვირველია იმათში იყო. — რომ მიეგებნენ, გრაფინამ თვალი მოჰკრა ზვიმას და შეაჩერდა. იმისი საკეკლოცე და განსხვავებული, ევროპიელისათვის უცხო რაღაც რამ მშვენიერება ასე მოეწონა, რომ ეს თუ არ დავიახლოვე არ იქნებოა. და რა-კი ეს სურვილი შეატყეს, სხვა იქაურს მოსამსახურეთა შორის ზვიმაც მუახლედ აახლეს. ცოტას ხანში ასე შეიყვარა და შეიტკბო ზვიმა გრაფინამ, რომ თავისს საკუთარს ოთახში შეაყვანინა და ყველაზედ უმეტესად დაიახლოვა, თითქმის გაიმეგობრა.—

ბეატრისას-კი არაფრად ეპიტნავა ამისთანა დაახლოვება ზვიმასი. რაც რამ ანბავი მოაგონდებოდა ინდოელების სიმუხთლისა და ღალატისა, უფრო მძიმეს ეჭვებში შედიოდა, ამან ჩემს გრაფინას არა აუტეხოს-რაო.— სხვა ევროპიელმა ქალებმა რომ ეს

ეჭვი ბეატრისას შეამჩნის, თვითან მეტათ გულ-
დამწვრები იყვენ და რასაკვირველია კვერი დაუკ-
რეს როგორც შეეძლოთ.— ისე დღე არ გავიდოდა,
ზვიმაზედ ენა არა მიეტანათ-რა ბეატრისასთან: ბო-
როტებით სავსეც ის იყო, ცბიერებითაც. პატივის-
მოყვარებითაც, გამომჩვენლობითაცა.— ამ ასეთსა და
ამ ისეთსა არა თუ გრაფინა არ უყვარს, ისპანიელე-
ბი ყველანი ისე გულამოდებითა სძულან, რომ, თუ
დრო იხელთა, სასიკვდილოთაც არავის დაინდობსო.

ამნაირს ცილის წამებას მრავალი კიდევ ისეთი
რამ დაჰმატეს, ვითამ ზვიმას ნალაპარაკევი, რომ იმისს
ბოროტებაზედ ეჭვი აღარა უნდა ყოფილიყო-რა.—
ბეატრისა გონიერი და განათლებულა ქალი იყო და
ზვიმასაგან ნალაპარაკევით მიტანილი არა სჯეროდა-
რა; გულში-კი მაინც ჯერ საწუხრათა ჰქონდა ზვიმას
დაახლოვება გრაფინასთან და მერე რომ შეატყო,
დაშორება აღარ შეიძლება და თან-და-თან გრაფინაც
უფრო ესარჩლებათ,— ისე შეუშფოთდა გული, რომ
რაც უნდა უცნაური რამ მოეგონებინათ, ახლა ყო-
ველსავე ადვილად დაუგდებდა ყურსა.—

ზვიმამ-კი მართლა ისე დაუახლოვა გული თავისს
ქალბატონსა, ისე მიეთვისა და გაუერთგულდა, რომ
მეტი აღარ შეიძლებოდა; სხვებმა ჩემი დაახლოვება
არ იწყინონო, ასე მორიდებით-კი იყო, რომ იჯდა
შეკეტულ ოთახში და სანამ არ დაუძახებდენ,
გარეთ არ გამოდიოდა.

ამასობაში გრაფი სინჩონ თუმცა დიდათა ცდი-

ლობდა ინდოელების გულის მოგებას, ისინი მაინც ამას ანბობდენ: პირველში ყველანი აგრე იქცეოდენ, რომ პირუთნებელი მართლმსაჯულება ეჩვენებინათ ხალხისათვის, კაცთმოყვარება, ზდილობა და ღმობიერება; ბოლოს-კი ყველანი გადაგვიბრუნდებოდენ ხოლმეო.—**ამ** მიზეზით ახალის ვიცეროის მეცადინეობას მადლი არა ქონდა: ან გვატყუებს და ან უეცარის სიკვდილისა ეშინია, მდივნის ანბავი რომ გაუგონია, და ჩვენს გულისმოგებას იმიტომა ცდილობსო.


36471

ბამოვიდა ოთხი თვე, რომ გრაფინა **ლი**მას იმყოფებოდა და არ იყო, რომ ცოტა რაღაც სიმრთელის მოშლა დაეტყო. **ჯ**ერა სთქვეს აქაურის არდადეგების მიზეზიაო; მერე უძლებობა რომ უფრო და უფრო მოემატა, ფიქრში შევიდენ; ბოლოს იქაური სამდღიური დამპალი ცივება გამოაჩნდა და ლოგინათ ჩააგდო.

რაც რამ მაშინდელს ევროპიულს მკურნალობას ცივების წამალი ეგულებოდა, ყოველივე მოიხმარეს, და ავთმყოფს შვება არა მიეცა-რა.

ბეატრისას მწუხარებას საზღვარი აღარა ქონდა. **მ**თრხელ მკურნალი გაიხმო და გამოკითხვა დაუწყო. **ი**სიც დიდის საიდუმლოებით გამოუტყდა, გრაფინას ავთმყოფობა რაღაც-რამ უცნაურის მიზეზით არისო, რომ იმისი შეტყობა და განკურნვა ვერავის მოგვიხერხებიაო.—

ამგვარმა მკურნალის უიმედო აღსარებამ **ბ**ეატ-



რისას აუცილებლათ ეს აფიქრებინა, რომ გრაფინა სწორეთ მოწამლული არისო. **ი**ქიღამ მოკიდებული **ბ**ეატრისას ერთი წუთი მოსვენება აღარა ქონია. **რ**ა საკვირველია, არათუ გრაფინას, ჯერ გრაფსაც ვერა გაუმხილა-რა; ორს ქალთან-კი დაუფარავი ლაპარაკი ქონდა, რომელნიც სხვებზედ უფრო დაახლოვებულნი იყვენ გრაფინასთან.

სამთავე ჯერ გული ამაზედ დააჯერეს, სწორეთ მოწამლული არისო. **მ**ერე რჩევას შეუდგენ, ვინ გაბედავდა ამ უღთოობასაო, თითქო უწინ არავინ დაესახელებინოთ, მალე-კი სთქვეს:

— **ს**ხვა ვინ, თუ არ **ზ**ვიმაო, **ზ**ვიმა, რომელსაც ყოველთვის თავისუფალი შესვლა-გასვლა ქონდა გრაფინასთან. **მ**სეც-კი, რომ გრაფინასაგან ყოველის სიკეთით აღვსილი, გაკეთებული, გაბედნიერებული და გულით საყვარელი, როგორ გაბედავდა **ზ**ვიმა ამ საქმესაო?

ამნაირის ფიქრის პასუხისმგებელათ ყოველთვის გულითადი სიძულილი წარმოუდგებოდა ხოლმე **ბ**ეატრისას **ზ**ვიმასი.— **ზ**ვიმა პირმოთნე, **ზ**ვიმა პატივისმოყვარე, **ზ**ვიმა გამომჩვენნი და, ვინ იცის, ფარულათ იქნება გრაფის არშიყიცა; **ზ**ვიმა ინდოელი და დედის ძუძუთივე შეჩვეული ყოველს მოუფიქრებელს ბოროტებასა და კაცკვლასა;—სხვა ვინ იქმოდა ამას, თუ არ ეს კრული **ზ**ვიმაო, ასე ეჩიჩინებოდა თავისი საკუთარი ფიქრი მწუხარეს **ბ**ეატრისას.

რამდენსამე დღეს მაინც კიდევა ცდილობდა

ბეატრისა ამ ფიქრების თავიდან მოშორებასა. იმისი საყვარელი გრაფინა-კი ამასობაში უფრო და უფრო ილევოდა და ქრებოდა.— იმისი მაყურებელი როგორ-ღა შევიდოდა ბეატრისა გულ-დამშვიდებით საქმის განხილვაში; ან როგორ-ღა შესძლებდა, რომ თუ თვალით არ ენახა, არ დაეჯერებინა, რასაც ზვიმა-ზედ ეჩურჩულებოდენ და რასაც თვითანა ფიქრობდა.— „როგორ შეიძლება, რომ ჩემი გულიც შემცთარი იყოს და სხვანიც ასეთ საშინელს ცილსა სწამებდენ ამ დედაკაცსაო.“— ავთ არ იყო ბეატრისა, მართალია, და არც ნაკლებათ იტანჯებოდა ამ ფიქრებისაგან.

ბრაფიც, რასაკვირველია, ძალიან დაღონებული იყო,— თუმცა ამ ეჭვებისა არა იცოდა-რა; თავისს სატრფოს მეუღლეს რომ იმ მდგომარეობაში ხედავდა, სულ გული უკვდებოდა უზომო მწუხარებითა.—

მრთხელ ცოტა-რამ უკეთყოფნა შეეტყო გრაფინას. ღიდი სიხარული შეუდგათ სასახლეში.— ახლა მკურნალი ანბობდა, სრული იმედი მაქვს მორჩენისაო.— ეჭვები დასცხრენ და ბეატრისამაც სული მოიბრუნა. რაც იმას წინეთ საიდუმლოთ გარიგება მოეხდინა, რომ ზვიმასათვის ედარაჯებინათ და გრაფინას. საწოლში მარტო აღარას გზით არ შეეშვათ, ის-კი დაავიწყდა, თუ როგორ მოხდა, არა მოშალა-რა.

ახლა საბრალო ზვიმასაც მივხედოთ.

ბრაფინას ავათმყოფობას, უეჭველია, ისე არა-
ვინა სწუხდა, როგორც ზვიმა. როგორც რომ უმან-
კო გულით და წრფელი სულით ერთგულება და
სიყვარული შეიძლება, ერთი ერთგულება და სიყვა-
რული ქონდა გრაფინასი; ამასთან იცოდა, რითაც
შეიძლებოდა მორჩენა იმისი და მორჩენა-კი არ შე-
ეძლო. ზვიმა სხვათა შორის ერია იმ ფიცში, რომლი-
თაც ინდოელები შეკრულნი იყვენ და რომელიც
უკანასკნელათ სიმრთელის ხეს ქვეშ განმეორებით
იფიცეს. ამ ფიცის გატეხა მარტო იმას რომ გარდახე-
დოდა, კიდევ არას ინაღვლიდა; იმისი ქმარიც უსა-
ცილოდ სიკვდილით უნდა დასჯილიყო და პაწაწა
შვილიცა. ზვიმა რომ სასახლეში შეიყვანეს და გრა-
ფინას ავათმყოფობის ხმა გამოვიდა,—ამ ჩემმა რძალმა
საიდუმლო არ გაგვიცესო, აიყვანა ხიმეომ თავისი
შვილის შვილი და თამირს მიაბარა, მესამე უფროსს
კაცსა. ეს თამირი თუ ისეთი მხეცი არ იყო, როგორც
აზან,—არც ნაკლები მტერი იყო ისპანიელებისა.
ზვიმამ ეს ყოველივე რომ კარგათ იცოდა, თავისი
გულის პასუხი მანმირსაც ველარ ანდო. იჯდა
საწყალი თავისს ოთახში და ცხარის ცრემლითა სტი-
როდა.—ბრაფინამ მოიხედაო, რომა სთქვეს, არცარა-
ფერი იმედი ამით მიეცა ზვიმას, რადგან კარგათ იცო-
და თვისება იმის ავათმყოფობისა, რომ უწამლელად
არა ეშველებოდა-რა.—

მართლადაც, ისევ შეუბრუნდა ის საშინელი ცი-
ვება გრაფინასა. მკურნალმა ახლა გადასთქვა თავისი

იმედი და მოსარჩენი საშუალება, აღარა ვიცი-რაო, დაუფარავათ ანბობდა. მთელი ლიმას სასახლე თავზარდაცემული იყო და შიშისაგან დადუმებული. — ბრაფისა და ბეატრისას საცოდაობა გულს უკლავდა ყოველს კაცსა.

ბრაფინამ იცოდა, რომ ძალიან ცუდათ იყო იმისი საქმე; მაინც ყველაზედ უფრო მხნეთა და გულმოწყალებით ის იყო.

სიცოცხლეს ადვილათ დასთმობს, რაგინდ ბედნიერი ცხოვრება ქონდეს, ვისაც გრაფინასაებ განწმენდილის სინიდისით უცხოვრია: სინანული არ ამძიმებს, სინიდისი არ აწუხებს, არა ქენჯნის და რამან შეაშინა?

შენც კარგათ იცი, თეიმურაზ, რომ დიდი საუნჯეა განწმენდილი სინიდისი.

წმინდა საიდუმლო მიიღო სიმშვიდითა და მოწიწებით. ნარნარებით გამოესალმა თავისს საყვარელს ბეატრისას; სასურველს ქმარს გულსაკვდავათ უაღერსა და სხვათა შორის დაუბარა, ინდოელები გებრალეობდენ და უმეტესად ჩემი საყვარელი ზვიმაო; შენდობა მოსთხოვა ყველას და ბოლოს მიანდო თავი თვისი ყოვლად და ყოვლითურთ განგებასა ღვთისასა.

ამ მწუხარებაში და სულით ტანჯაში ყოფნამ ზვიმა ისე მოაუძღურა, ისე დააუღონოვა, რომ, როდესაც გრაფინა აზიარეს, ისიც ავით გახდა იმისთანავე ცივებით. მანმირმა, რა საკვირველია, მაშინვე შეიტყო და თავისის მოძმების ნებადართვით ცივების

წამალი შემოუტანა ჩუმათ, იმ ხის ქერქის ნაფშენეტი, ერთათ ერთი დასალევი; დღეში თითო დასალევზედ მეტს ვერ მოუტანდა. ის წამალი ღამე დაძინების დროს უნდა მიეღო.

ზვიმამ შემოპარებული წამალი სიფრთხილით გამოართვა თავისს ქმარსა, თვალი არავინ შეგვესწრასო და მარტო რომ დარჩა, აიღო ეს ფერფლი, ცრემლით აღვსილი თვალეები აღახვნა ცადმიმართ და სთქვა: «ღმერთო დიდებულო! შენ მამხილებ და შენის სახიერების მორჩილი სიხარულით გავსწირავ ჩემს თავსა, ოღონდ-კი ჩემი გრაფინა გადარჩეს. ნება შენი აღსრულდეს: საშინელსა ამას ჩვენს საიდუმლოს მე არ გავსცემ!— ჩემში აჰგვარს ერთგულებას და თავის განწირვას ხომ არავინ იფიქრებს და იტყვიან აქიმებმა მოარჩინეს გრაფინაო. ზანსაცდელი არცა-რა ზანმირს მიადგება, არცა-რა ჩემს შვილსა და არც ფიცი გატყდება ჩვენი. ბრაფინა განთავისუფლდეს და მე იმის ჭირის სანაცვლო ვიქნე. რის მაქნისია მაინც საბრალო ზვიმას სიცოცხლე? რამდენით უფრო საჭირო და გამოსადეგი არის ქვეყნისათვის სიცოცხლე გრაფინასი, რომელიც არის შვილი ზეციერი, ნუგეში მწუხარეთა, მფარველი და შემასვენებელი მაშვრალთა, შემწყნარებელი გლახაკთა და მონათა. ახლა არ იყო, რომ დაღონებულის ხმით ღმერთს ევედრებოდა, შენ განარინე განსაცდელთაგან უბადრუკი ინდოელნიო! ზეციერო გრაფინა! ინდოელებისათვის ევედრებოდი ღმერთსა, რომელთაც შენი მორჩინა

შეუძლიანთ და არ გარჩენენ.—სასიკვდილოდ განემზადებოდნენ დღესა და მაშინაც არ დაივიწყებენ უბედური ზვიმა, ლაცავდი და ლმერთს ავედრებდნენ.—**მ**ფიცავ, ვფიცავ მზესა მანათობელსა, *) თავი განაცვალო და გიხსნა-კი სიკვდილისაგან».

სოქვა ეს ზვიმამ, შეახვია ქინაქინის ქერქის ნაფშვენი, უბეში ჩაიდვა და ზე წამოსდგა. **შ**ეფიქრდა ცოტას ხანს, როგორ შევიდნენ ისე გრაფინას საწოლში, სადაც სასმელი უდგია გამზადებული, რომ არავინ დამიშალოსო.—**ი**მისი სრულიად არა იცოდა-რა, როგორი ეჭვები ქონდათ ამაზედ აღებული და რანაირათ იყო დაკრძალული როგორც ამისთვის, ისე სხვა ინდოელებისათვის, გრაფინას ოთახის კარი.—**ს**ხვა ამის მეტი ფიქრი არა აწუხებდა-რა, რომ ავთმყოფის მოვლა მარტო ევროპიელს ქალებსა ქონდა მინდობილი და ინდოელს-კი მარტო აღარავის აკარებდნენ.—**თ**უ შევალ, ღამე უნდა შევიდნენ და თუ მღვიძარე დამხვდა ვინმე, ვიტყვი, ველარ მოვითმინე და ანბის შესატყობათ მოველი მეთქი. **ახ**ლა გზას დავათვალიერებ, იქნება მოხერხდებოდეს, ცალკე შესავალი რომ აქვს გრაფინას საწოლსა, იქიდან შევიდნენ და სხვა წინა ოთახებს ავსცდნენ როგორმეო.—

ბიბე ჩაიარა, აივანს გასცდა, მეორე კიბით ზევით ავიდა, ნახა რომ იმ ცალკე კარის გასაღები ზედვე იყო,—მაშ აქედამ შევალ ამაღამაო სოქვა და თავის-სავე სადგომისაკენ გამობრუნდა.—

*) მზე დიდი საფიცარი იყო მაშინ იმათში.

ბეატრისას რომ აღრევე გარიგება მოეხდინა, ზვიმაზედ თვალ-ყური გეჭიროთ, მას აქეთ ზვიმას ისე ტეხი არსაით გადაუდგამს, რომ არავის ედარაჯებინოს. ახლაც მოახსენეს ბეატრისას: «დღეს ზვიმასთან მან-მირ იყო; ყური კარს მივაკარით, მაგრამ იმათი ლაპარაკისა ვერა გავიგეთ-რა; მანმირ რომ წავიდა, ცოტა არ იყო, როგორღაც დაფიქრებულსა გავდა; პატარა ხანს უკან ზვიმა გამოვიდა თავისს სადგომილამ, ის უფრო ფერმიხდილი, — ქვევით ჩავიდა, აივანი გაირბინა, იქით კიბეზედ აიპარა, ყოველი კარი გაშინჯა, საწოლის კართან შედგა დიდის სიფრთხილით, თვალი არავინ მომკრასო და მერე ისევ ისე შინ შებრუნდაო“.

ამ ანბავმა ბეატრისა სულ შეაჟრჟოლა. ცხადია, უთუოთ შეპარვას აპირებს ამაღამ გრაფინას საწოლშიო, ასე გადასწყვიტა და მუახლებს დარიგება მისცა, შინილამ რომ გამოვიდეს, იმავე წამს შემატყობინეთო და კარები დაკეტილი არსად დაგრჩეთო. — თვითან მაშინვე გრაფთან შევიდა და — ასე ანბობენ, ასეო, ყოველივე უანბო. — ბრაფმან თუმცა ბოროტი განზრახვა ზვიმასი არა დაიჯერა-რა, მაგრამ აქ რაღაც ანბავიაო, სთქვა, და პირობა მისცა ბეატრისას, მეც იქ მოვალ და ერთათ დავემალნეთო.

ბავიდა ლამისა ორი საათი და მოახსენეს ბეატრისას, ზვიმა იმავე გზას დაადგაო.

ბეატრისა და გრაფი გასცვივდენ მაშინვე გრაფინას საწოლში დასამალავათ. სულ შეგუბებუ-

ლები ისხდენ ფარდას იქით და ცოტას ხანს უკან დაინახეს, კარი გაეღო სიფრთხილითა და ზვიმა შემოვიდა საკვირველი ფერმიხდილი, მთრთოლარე და ძლივს მავალი. **თუ** ბოროტი განზრახვა არა აქვს-რა, ასე რა აძრწუნებს და რა ათრთოლებსო, იფიქრეს.—**ზვიამ** მეორე კარს მიმართა, ყური დაუგდო, იქით ოთახებში მღვიძარე ხომ არავინ არისო და ხმიანობა რომ არა ისმოდა-რა, სტოლს გამოუბრუნდა, სადაც სასმელი იდგა ავათმყოფისათვის მომზადებული, სიჩქარით ამოიღო თავისი წამალი და შიგ ჩაყარა.

ბამოვარდა მაშინ გრაფი, სტაცა ხელი და შესძახა: „უბედურო! რა იყო ეგ რომ ჩაყარეო!“

მლდა ეცა საშინელი ზვიმას,—სთქვა—„ვაიმეო“, მუხლები ჩაეკეცა მაშინვე და გულშემოყრილი დაეცა ძირს, აიღეს და იმისს სადგომში შეიტანეს. **ავათმყოფს** ეს არა გაუგია-რა. **ბრაფმა** და **ბეატრისამ** პირობა დასდეს, ნურცა-რას გავაგებინებთო; „თხოვნას დამიწყებს, ღვთის გულისათვის აპატივეო, და ეს აღარ შეიძლება: სამაგალითოთ დასჯა აუცილებელი არისო—სთქვა გრაფმა და გამოვიდა უზომოდ განრისხებული და გულ აღშფოთებული.

რალა ეჭვი უნდოდა. **ცხადი** იყო, რომ **ზვიმა** სწამლავდა საცოდავს გრაფინას. **თავის** თვალით დაინახეს ეს **ბეატრისამაც** და **გრაფმაც**.

აჰ, ჩემო **თეიმურაზ!** ნურას საქმეს ნუ აუბრიალდები, ბევრჯელ თვალით ნახულსაც ნუ დაუჯერებ,

რებ, თუ გულდამშვიდებით არ გამოიკვლიე, რისგან მოხდა ის თვალით ნახული, თორემ შესცდები და როგორ შესცდები!—

იმავე წამს ხმა გავარდა სასახლეში და მთელს ქალაქს ლიმაში, ზვიმას ზედ მიასწრეს, სასახლეში რომ საწამლავს უყრიდა გრაფინასაო.—

ბეთილი მითხარ, თორემ ბოროტი ხმა ადვილათ გავარდება ხალხში და ათასში ერთიც არი თუ დაფიქრდა და მაშინვე არ დაიჯერა, დიდი ანბავია.—

ეს საქმე მაშინვე სამართალს მიაჩემეს, ზვიმა დაჯაჭვეს და საპრობილეში გაისტუმრეს.

ზანმირმა რომ ეს შეიტყო, იმავე წამს მიხვდა, რაც უნდა ყოფილიყო და გასწია მაშინვე აზანთან და თამირთან.

„ჩემი შვილი ხომ თქვენ გაბარიათ, ახლა პირობა უნდა მომცეთ, თუ ფიცი არ გავსტეხეთ და საიდუმლო არ გავეციოთ, ჩემი შვილი მამა ჩემს დაუბრუნოთ, როდესაც მე და ზვიმა დავიხოცებითო“.

— ზადღვეთ მაგ პირობას, უთხრა აზანმა, მაგრამ, მეონია, არც ამაზედა გქონდეს ეჭვი, რომ თუ ცოტაოდენიც არის გაამხილეთ რამე, სიცოცხლის ფასად დაუჯდება ვე შენს შვილსა.—

„ის ჩვენ ვიცით, როგორც დავიხოცებითო, უპასუხა ზანმირმან და გამოვიდა. გასწია მოსამართლეებთან და გამოუცხადა: „ნებით აღმიარებია, რომ ზვიმას საქმეში მეც ვურევივარო“.—

ესეც დაჯაჭვეს და საპრობილეში შეაგდეს.

მეორეს დილის განთიადზედ შეკრბენ მსაჯულნი საქმის გამოსაკვლეველად და მაშინვე დამნაშავეების განსაპატიჟებელად. ზაღეს სამსჯავრო დარბაზის კარები და ხალხს აცნობეს, ვისაც გენებოთ შემოდითო. იქაურს სამართალს სახალხოდ აწარმოებდენ.

მრავალი ხალხი შევიდა და საიდუმლო უფროსი კაცებიც იმათ შორის: თვითან ხიმეო, აზან და თამირ.

შემოიყვანეს უბედური ცოლქმარი ხელ-ფეხ დაბორკილებულნი. ზვიმამ რომ ჰანშირიც დაჭერილი დაინახა, დაიძახა: „ამას რა ბრალი აქვს? რაც მე მწადოდა, მაგან სრულიად არა იცის-რაო“.

— ბაჩუმდი ზვიმავ! ბძანებით უთხრა ჰანშირმა; შენი სიკვდილი აუცილებელია და ჩემი სიცოცხლე რალამ გაფიქრებინა. მე ხომ არავის დაუბეზღებღვიარ; ჩემის ნებითა ვარ აქა და რაც შენ დაგემართება, მეც ის დამემართოსო; ჩვენი შვილი მაინც გადარჩეს.

ახლა ზვიმა მიხვდა ჰანშირის აზრსა, გაჩუმდა და ცრემლს მიანება თავი.

მსაჯულნი შეუდგენ გამოკითხვას.

რასაც ბეატრისა და თვით ვიცეროი თვალით ნახულად ამოწმებდენ, იმისი უარისყოფა ხომ აღარ შეიძლებოდა და ეს მოქმედება დამტკიცებულად დასდევს. მერე კითხეს ზვიმას:

« ჰისგან მიიღე ის საწამლაღვი? »

— ჩემგანაო, სთქვა ჰანშირმა.

— ჰსთქვი და კიდევაც ვიტყვი, რომ ჰანშირს

ჩემის განზრახვისა სრულებით არა სცოდნია-რაო, მიუგო ზვიმამ.

„ზანზრახვა შენი რა იყო, კითხეს.“

— ჩემი განზრახვა მოწამლვა არა ყოფილა.

„თუ მოწამლვა არ იყო, მორჩენას ხომ არ ფიქრობდი ავათმყოფისასა?“

ამ კითხვაში ზვიმამ თვალი მოკრა აზანს; თუ წამომცდა რამე შეიღს დამიკლავსო, იფიქრა და სთქვა:

— არა, არა, მე ავათმყოფის მოსარჩენი წამალი არა ვიცი-რა.—

„თუ წამალი არ იყო, მაშ საწამლავი ყოფილა, აღვიარებია?“

— მე არა აღმიარებია-რა!

„მაშ რა იყო, გვიპასუხე!“

— ამაზედ მეტს ვერას გვიპასუხებთ.

მაშინ წამოსდგა ხიმეო, შეიღსა და რძალს შუა ჩაუდგა და სთქვა: მოიტანეთ ჯაჭვები; მეც ამათთან გამსაჯეთ.

— ჩვენს შეიღს რაღას უპირებ, მამაო, კითხეს მანმრმა და ზვიმამ? მაინც არ დაიშალა ხიმეომ.

ამდროს მსაჯულებს ბძანება მოუვიდათ, გამოკითხვაში საწვალეებელს იარაღს ნურას მოიხმარებთ, ნურცა-ლა მონაწილეების გამოჩენას გამოეკიდებით და საჩქაროთ გადასწყვიტეთო.

მაშინ ხიმეო განაშორებინეს და ცოლქმარი საპრობილეში გაგზავნეს. იხმეს გრაფინას მკურნალი და გამოკითხვა დაუწყეს.

მკურნალმა სთქვა: გრაფინას ავთმყოფობა ეწინააღმდეგა და გაუძნელდა ყოველს წამალს, რაცაოდენ ამ გვარის სენის გამკურნავად მიგვაჩნია. ყოველი ეჭვი დასაჯერებელად გარდაიქცა და ახლაცხადად ვხედავ, რომ ეს ფლიდი და გარყვნილი დიაცი, ზვიმად სახელდებული, საწამლავს შეაპარებდა სასმელებში და ამით განაგრძობდა გრაფინას ავთმყოფობას. როდესაც განაშორეს გრაფინას საწოლიდამ და სამსახური აღუკრძალეს, მაშინ, უეჭველია, იფიქრა, ყმაწვილქალობის აგებულება და ევროპიული სამკურნალო წამლები უთუოთ სძლევენ ავთმყოფობას და მოარჩენენო; მსხვერპლი ხელიდამ გამოგვეცლება, თუ ბოლო ახლავე არ მოუღეთო და დასასრულ იმდენი საწამლავი ჩაუყარა სასმელში, რომ იმისი დაღევა და სულის დაღევაც ერთი უნდა ყოფილიყო გრაფინასათვის.

ამ მკურნალის ლაპარაკში მსაჯულნი სულ ძრწოდენ გულის წყრომითა და მრისხანებითა.—

ზაი იმ მსაჯულის ბრალი, რომელიც მრისხანებს და გულს იწყრომებს. ზულალშფოთებულის კაცის სამართალი ჩემს მტერს მოასმენინა.—

მოილაპარაკეს ერთმანერთში გაჯავრებულმა მსაჯულებმა, ხმა შეკრიბეს და განაჩინეს:

„**ზ**ინაიდგან **ზ**ანმირ და **ზ**ვიმა მოწამლვით კაცკვლაში თავით თვისით გამოტყდენ და დამნაშაობა ესე აღიარეს; ამისგამო სიკვდილითავე დასასჯელად განპატიყდებიან; ხოლო განპატიყება ესე

აღსრულებს დღესაც ამას. ჟამსა შუადღისასა შთა-
გდებით მათითა ცოცხლად ხროვასა შინა შეშისასა,
ცეცხლით მეზნებარესა.“

შემოიყვანეს პერობილნი და განჩინება წაუკი-
თხეს. **ვანშირმა** მოისმინა უძრწუნველად და სრუ-
ლის სიმშვიდითა. **მაშინ ზვიმა** დაეგო იმის ფეხქვეშ
და უთხრა: „შენ მე დაგლუბე და მხოლოდ ეს არის
ჩემი საწუხარი! **მომიტევე. ოჰ, მომიტევე, ვანშირ!**

— **აღექ ზეზე, ზვიმავ!** უთხრა **ვანშირმა**: ჩვენს
მსაჯულებს გარდა ბრალი აქ არა ვისა აქვს. **ნუგეში**
ამით ეც შენს თავს, **ზვიმავ**, რომ ამათმა სამარჯალმა
საშინელი უღელი აგვყარა და რამდენსამე საათში
სრულიად განვთავისუფლდებით ამათის მონები-
სავან.—

ამ სიტყვებმა თვით მხეცს **აზანსაც** დაუღბეს
გული.

— **შვილისათვის** ნუ სწუხარ, მიაძახა **ვანშირს**,
ამას იქით ვფიცავ ისევ უპატრონო, როგორც ჩემს
საკუთარს შვილსა.

ცხრა საათი იყო მაშინ დილისა. **ბძანება** გა-
სცეს, შეშის ხროვა დაამზადეთო.

ბრაფინა მაშინ ისეთს მდგომარეობაში იყო,
რომ მკურნალმა გამოცხადებით მოახსენა გრავს,
ხუთიოდ-ექვსი დღე რომ კიდევ იცოცხლოს, მეტი
აღარ შეიძლებაო.

ბრაფი და **ბეატრისა** ისეთს განწირულს მწუხა-
რებაში იყვნენ, რომ იმათი გული ყოველად დახშუ-

ლი იყო ღმობიერებისა და მოწყალებისათვის—
ზვიმა მაინც ახლა ისეთს რათმე საზარელ და საზი-
ზლარს მხეცად მიაჩნდათ, რომ იმის შებრალებას გე-
სლიანის გველის შებრალებაზედ უმძიმესად მიიჩნე-
დენ, **ვანმირისთვის**-კი ბძანა ვიცეროიმ, დანაშაულის
მივუტევებ, თუ გულის სიწრფელით აღიარებს
თავისს ბრალსაო.

„ჩემს მაგიერათ ვიცეროის ასე მოახსენეთო,
დააბარა მოციქულებს **ვანმირმა**, რომ არათუ ჩემი,
ზვიმას პატივებაც რომ აღმითქვან, მაინც რაცა
ვსთქვი, ვსთქვი და გავათავე; იმაზედ მეტს ერთს სი-
ტყუასაც ველარ მათქმევინებენ.

ვიცეროი,—განჩინების აღსრულებას აქ არ
დავესწრაო,—ქალაქს გარეთ საზაფხულოო სასახლე
ქონდა და იქ წავიდა; სალამომდე იქ დავყოფ და მერე
ისევ მოვალო.

ამასობაში უბადრუკი ბერიკაცი **ხიმეო** ათას-
ნაირს ფიქრში იყო: რა ვქნა, ჩემი **ვანმირ** და **ზვიმა**
როგორ ვიხსნა ამ საშინელის განსაცდელისაგანაო.
ჯერ ხალხის შეგროვება დააპირა; მაგრამ დილიდან-
ვე ისეთი ზედამხედველობა იყო ხალხზედ გამარ-
თული, რომ საიდუმლოთ მოლაპარაკება არათუ
ხალხთან, მარტო **აზანთან** და **თამირთანაც** აღარ
მოხერხდებოდა.—**მერე** სახალხოთ ბძანება გამოსცეს,
ვინცავინ ინდოელები **ლიმაში** იპოვება, ყველანი
დამნაშავეების დაწვას უნდა დაესწრანო. **ინდოელებს**
იარადი არა ქონდათ-რა; ისპანიელების ჯარი ერთი

ორათ იყო მომატებული; ამას გარდა, როდესაც ჰყრობილებს დასაწვავათ წაიყვანდენ, ორასი სალ-
დათი ყარაულად უნდა ყოფილიყო. ინდოელები-
სათვის მორჩილების მეტი სხვა ღონე აღარა იყო-რა
და სასოწარკვეთილმა ხიმეომ ბოლოს ეს განიზრახა:
თუ-კი შვილები დამეხოცებიან, მე რაღათ მინდა თავი
ცოცხალიო, და, როდესაც იმათ ცეცხლში ჩაყრიან,
მეც თან გადავყვებიო.

როდესაც მთელი ქალაქი ამ საზარელის სანახა-
ვის მოლოდინში იყო, მაშინ საბრალო გრაფინა
ქვეშაგებში იწვა მეტათ დასუსტებული და შეწუხე-
ბული. ქალაქში რა ანბავი იყო, სრულებით არა
გაეგებოდა-რა. შესვლა-გასვლა-კი როგორღაც უფრო
გახშირდა იმ დილას იმის საწოლში; ყველას რა-
ღაც გულისშფოთვა ეტყობოდა, ასე რომ ავათ-
მყოფმაც-კი იგრძნო, რაღაც ალიაქოთი არისო და
კითხვა დაიწყო, რა ანბავიაო? შეატყო, რომ რაღა-
საც უმაღლედენ.

ბეატრისა მეტადრე ხშირად გადიოდა საწო-
ლიდამ, თავისუფლებით მაინც ვიტირებო და ერთ-
ხელ, ბეატრისა რომ გარეთ იყო, გრაფინა ერთს
მუახლეს ჩააცივდა, თითქმის ვედრება დაუწყო,
მითხარ, რა ანბავიაო? ბოლოს ისეთის უფლებით
უბძანა, ახლავე მითხარიო, რომ მუახლემაც ველარა
დაუმალა-რა და მოახსენა, ასე მოხდა, ასეო; მანმირ
და ზვიმა არათუ აღარა ფიცვენ, სატრაბახოთაც
თურმე მიაჩნიათ თავისი მოქმედებაო.

უზომოდ გაოცდა და განცვიფრდა ავთმყოფი ამ ანბისაგან.

„ჭი, უზესთაესო კაცთმოყვარებაო! შენდამომართ მოვივლტვი სასოებითა ჩემითა, შენდა ხმავეყოფ, მეუფეო, მამხილე სიმართლენი შენნი“...

ღასუსტებულმა ლექსით ველარ დააბოლავა ლოცვა,— და ან რა საჭიროა ლექსი გულთამხილველის წინაშე?...

— ზადახსნილი ტახტრავანი მომიმზადებინეთ, რომ ახლავე წამიყვანონო, ბძანა გრაჟინამ.

მისცვივდენ ყოველნი და ტირილითა და გოდებით ეხვეწებოდენ, ნუ ინებებო; ბეატრისა ცრემლის ფრქვევით ვევედრებოდა, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალოს შენი უბედური ბეატრისა, ლვთის გულისათვის ნუ იქ, ნუ ინებებ გარეთ გასვლასაო, მაგრამ არ იქნა.

მუახლეები მოიხმო, გრძელი მუსლინის შესამოსი მოასხმევენა, ტახტრავანზედ დაეწვენინა; ოთხს კაცს ტახტრავანი ააღებინა, მეხუთე სამზეურით თავს დაიყენებინა, პირზედ თეთრი ღაზის ბადე გადიფარებინა და ბძანა, ასე მიმიტანონ სადაც ცეცხლი არის გამზადებულიო.

შუადღე მოტანებული იყო და ისიყო ჰანმირ და ზვიმაც გამოეყვანათ საპრობილედამ და სასიკვდილოდ მიყავდათ. ზვიმა ცალკე თავისის ავთმყოფობისაგან და ცალკე ამ საშინელის განსაცდელისაგან დაულონოებული, სიარულს თვითან რომ ველარ ახერხებდა, მღვდელს მიყავდა და თან ორი ყარაული

მისდევდა. აუარებელი ხალხი აწყდებოდა ერთმანერთს, ერთი შევხედოთ, ერთი თვალი მოვკრათ ჩვენს ზვიმასაო. ამ ხალხში აზან დაინახა ზვიმამ, რომ იმისი შვილიც ხელთ ეჭირა. როგორც რომ ამას თვალი მოკრა, ერთი შეკივლა და იმავე წამს მღვდელსაც მოშორდა, ყარაულსაც თავი დააღწია, მივარდა აზანს, შვილი გამოგლიჯა ხელიდამ, დაუწყო გაგიჟებით კოცნა და გული რომ ველარ შეიმაგრა ისეთს ტირილს მოჰყვა, რომ ხალხიც სულ გულამოჯდომით აატირა.— ამასობაში აზანმა წასჩურჩულა: „გამხნევედი, ზვიმავ! შენი სიკვდილი სასიქადულოა ჩვენთვისა; უფრო ველარავინ გაბედავს ფიცის გატეხასა“...

— შაი! ნეტავი გრაფინა მომირჩებოდეს და სხვას რას ვინაღვლი....

მეტი ველარა სთქვა რა ზვიმამ; სალდათები მოეწივნენ, და შვილი რომ ხელიდამ გამოსტაცეს,— ახლა კი მოვკვდი,— ჩემი სიცოცხლე შვილისთვის შემეწირავსო, სთქვა და გაუყენეს გზასა.— სამასიოდენა ბიჯილა თუ იყო კიდევ ხროვამდე. ამ დროს საყვირმა აცნობა ჯარსა, დასაწვავნი ახლოს არიანო და ხმელი შეშის ხროვას ცეცხლი შეუკეთეს.— ზვიმამ რომ თითქმის ცამდე აფარდნილი აღი დაინახა, თავს ისეთი ზარი დაეცა, რომ ქმარიც დაავიწყდა და შვილიც; თვალწინ აღარა უდგარა სიკვდილის მეტი, რომელიც ასე მოახლოებული, და ასე აუცილებელი იყო; მერე როგორი სიკვდილი! სიცოცხლის ღონე თითქმის ყოველივე ახლა მიელო, პირზედ სიკვდი-

ლის ფერმა გადაკრა და მღვდელს რომ არ ეტაცნა ხელი, უთუოთ წაიქცეოდა.

— ზვიმავ! ჩვენი წამება მალე გათავდებაო, უთხრა მანშირმა; შეხედე როგორი გუგუნი გააქვს ცეცხლსა. მართს წამს მოვრჩებით!

— ოჰ! ვხედავ... ვხედავ... ამ ცეცხლსა.... ძლივსლა სთქვა ზვიმამ.

რამდენსაც უფრო დაუახლოვდენ, იმდენათ უფრო და უფრო დაიძაბუნა საზარელებამ უბედური ზვიმა. აგერ, მიატანეს კიდეცა; ინდოელები ცეცხლს გარს არტყიან და გლოვის ნიშნად კვიპაროზის რტოები უჭირავთ ხელში, მღუმარეებსა, თვალდაშვებულებს, დაღონებულებს. ამათ გარს არტყია ჯარი, უფრო მღუმარე, უფრო უძრავი.—სახე ამ აუარებელის ხალხისა გამომეტყველებს მხოლოდ ამასა, რომ ყველანი სულ შეგუბებით ელიან ორის ადამიანის, ცოლქმარის, საშინელს სასჯელსა, რომელიც ეს არის ეხლა უნდა აღსრულდეს.—

აი, ეს უბედურებიც! ორიოდ ნაბიჯი კიდევ და...

ამ დროს ხალხში რაღაცა ხმა გაისმა და ყველამ პირი ქალაქისაკენ აქცია. ღაინახეს, ვილაც ცხენოსანი ხალხის ზღუდეს დაუხედავათ არღვევს დამოიძახის:—

„შედევით, შედევით!—გრაფინა მობძანდება; „თვითან მობძანდება აქა; აგერ თან მომდევს!!...“

შესდგა ყოველივე. ზვიმამ ხელები ცისკენ ააპყრა; თუმცა იმის დათრგუნვილს გულში იმედის ნაპერწკალი არა ჩავარდნილა-რა.

ზაირღვა კიდევ ხალხი და გამოჩნდა ტახტრავანი. **ზ**ამოჩქარებით მოქონდათ როგორც შეიძლებოდა. **მ**ოატანეს უბედურ პყრობილებთან და შეაყენეს. **ზ**არს შემოერთყა დედოფალს გვარდია, და გვარდიას გარს შემოეხვია ხალხი.

ამ დროს გრაფინამ პირბადე გარდიხსნა და გამოიჩინა სახე ფერდაკარგული, უკიდურესათ დასუსტებული, მაგრამე მაინც ღმობიერებისა და მოწყალების გამომეტყველი: „მე, მართალია ნება არა მაქვსო,—სთქვა უღონოთ, ჩემით გამოვსთქვა ამათი დახსნა განსაცდელისაგან; იმედი-კი მაქვს ჩემი მეუღლე მაპატივებს და სანამ იმისი ბძანება გამოვიდოდეს, ჩემს საფარველს ქვეშე მიმიღია ესენი. **ჯ**აქვები შეხსენით. **ც**ეცხლი გააქრეთ. **ა**ქამდე რომ შემეტყო რამე, ანთებაც არ დაგჭირდებოდათ; ღმერთმა ხომ იცის, რომ არა ვიცოდი-რა.“

ინდოელებმა რომ ეს გაიგონეს, რტოები გადაყარეს და ერთხმად შესძახეს: „ღღეგრძელ იყავნ დედოფალი ჩვენნი!“ —

ამ აღტაცებულს გრიალში ხიმეომ ხალხის სიზრქე შემოაპო; ტახტრავანზედ მდებარეს გრაფინას ხელი შეახო და ხალხს შესძახა: „უნდა იცოცხლოს ამან თუ არა?“

— **ი**ცოცხლოს, იცოცხლოს,—მოაძახა მთელმა ქალაქმა. **ღ**ა გვარდა ხიმეო ისევ გარეთ.

ზვიმა მუხლებზედ დაეშვა და სთქვა: „ღმერთო ყოვლის შემძლებელო, სრულ ჰყავ სასწაული შენი!“

ჰანშირ და **ზვიმა** თანგაიყოლია გრაფინამ და ტახტრავანი შინისკენვე გააბრუნებინა. ხალხი თან დაედევნა ლოცვითა და კურთხევით.

შინ გარდამეტებით დაღალული ისევ ქვეშაგებში ჩაწვა გრაფინა და ცოლქმარს ანიშნა თავით მომისხედითო. **მს** არის მოატანა ჩემმან უკანასკნელმა ჟამმაო იფიქრა და, რომ ველარა სთქვა-რა, ერთი ხელი **ჰანშირს** მიაწოდა, და მეორე **ზვიმას**. — **ზვიმა** დაეკონა ამ კეთილის მყოფელს მარჯვენასა და გაბანა ცრემლის ნაკადულით.

ამის მაყურებელს **ბეატრისას** გულმა ველარ მოუთმინა და უბძანა მოსამსახურებს: გაიყვანეთ ესენი აქედამ და იმ ოთახში გყავდესთო.

— **ბრა**, არა, სთქვა გრაფინამ! მე ვარ მოპასუხე მაგათი წინაშე ღვთისა.... ღმერთი თანასწორათ განგვსჯის ყოველსავე... მინდა აქ იყვნენ.... ესენი არიან კარის გამღებნი ჩემნი სასუფეველში...

— **ღმერთო** ყოვლად ძლიერო! უპასუხა **ბეატრისამ**! როგორ მიგანებოთ ამ უსჯულოებსა, ამ უენს მკვლევებსა!?

— **უკეთესს** ვერავის მიმცემთ, **ბეატრისა**. **ვატყობ**, რომ ლონეს მიმატებს ეს მთრთოლარე ხელი; განსვენებით არის ჩემი ხელი ამ ხელში.

„**მჰ!** სათნოო და სახიერო! გულამოჯდომით მოახსენა **ზვიმამ** გრაფინას. **თუ** ღმერთმა არ ინება გამართლება ჩემის იმედისა, ქვეყანა მაშინ დაინახავს, როგორიც სიყვარული და ერთგულება ქონდა

შენი შენს უბედურს ზვიმას... უშენოთ სიცოცხლე ყოვლად შეუძლებელია ზვიმასთვის.

ამ სიტყვებმა ბეატრისა უმეტესათ განარისხა: „შე, წყეულო მაცდურო!...“

— ნუ, ბეატრისავ, უთხრა გრაფინამ! ნუ სწყევლი, ჩემო ბეატრისავ! მიხედე ამათს ცრემლოვანს თვალებს... ზვიმავ! შენი სახე ზეციერის სახიერების გამომეტყველი იყო მარად ჩემთვის. ბულითად საყვარელი იყავ ჩემი; როგორ შემიძლია გულში შენი ძვირი ვიქონიო რამე... შენცა და შენი ქმარიც საუკუნო ცხოვრებისათვის მოვლინებულად მიმაჩნიხართ ჩემდა, სრულის გულით მომიტევებია, თუ დანაშაული გაქვთ რამე.— ისე ღმერთმან მე მომიტევოს თანანადებნი და შეცოდებანი ჩემნი!...

ამისმა გამგონემ ზვიმამ ყოველი მოთმინება დაკარგა და გულახსნით ლაპარაკი დააპირა; ჰანმირმა რომ შეატყო, ახლა უთუოთ წამოსთქვამს რასმეო, უთხრა: „ზვიმავ! ჩუმათ ვიყვნეთ ჯერ კიდევა. ჩვენის დედოფლის სიმართლე თვითან ჩამოიყვანს ქეშპარიტებას ზეცილდამა: ჩვენ იმ ღმერთს მივენდუნეთ, რომელსაც ეგ ესავს; ის დაიხსნის ამისს სანატრელს სიცოცხლეს განსაცდელისაგან და ჩვენც ისევ გაგვამართლებს. ახლა ჩუმათ ვიყვნეთ.“

ასეთის გულის სიწრფელითა სთქვა ეს ჰანმირმა და ასეთით რილათიც სულის სიდიდითა, რომ თვით ბეატრისაც გაოცდა. ბრაფინამ გამოკითხვა დაუწყო ჰანმირს, მაგრამ იმან აღარა თქვა-რა.

ღვთის გულისათვის ნულა რას მკითხამო და ორის საათის განმავლობაში ისე გაჩუმებულნი იყვენ ორნივე ცოლქმარი, რომ ხმა აღარ ამოუღიათ. შეყურებდენ გრაფინას და მდულარედ კრემლებს აფრქვევდენ.

ბრაფინამ როდესაც ამათი გამოხსნა დააპირა, კაცი უფრინა მაშინვე გრაფსა და სთხოვა, როგორც შეგეძლოს ისე საჩქაროდ მობძანდიო.— ამდენი ხანი რომ გამოვიდა, მეორე კაცის გაგზავნა დააპირა და ამასობაში გარედამ რაღაც ხმიანობა და ლალადი მოესმათ. უცნაური რამ იყო ეს ხმა. არ გავიდა ერთი წამი, რომ გრაფის ხმაც გაარჩიეს.

ბრაფინამ გააღებინა მაშინვე კარები და ჯერ გრაფი შემოსული არ იყო, მიატანა მდებიარემ: „ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის, მოწყალე ექმენ ბრალეულთა!“

— ბრალეულნი კი არა, მხსნელნი არიან შენნიო, სთქვა შემომავალმა გრაფმა, და ამ სიტყვისაგან ვინცა ვინ ოთახში იყო თითქო გაქვავდნენო, ისე განკვირდენ.

ვიცეროის ყმაწვილი ეპყრა ხელში: შვილი იყო ზვიმასი.

მიჰგვარა ზვიმას, მუხლი მოიდრიკა ამ ინდოელის დედაკაცის წინაშე და ისე ჩააბარა თავისი შვილი. ხიმეოც თან შემოყვა გრაფსა, მივიდა მანძირთან და უთხრა: ახლა კი შეგიძლია სთქვა ყოველივეო. ჩვენები ყველანი თანახმანი არიან და დაფარული

აღარა გვაქვს-რა; ჩვენი წამალი ყველამ მივიღეთ ბატონის წინაშე და თვითონაც მიიღო მანამდისინ აქეთ წამობრძანდებოდა.

ამ სიტყვაზედ ზვიმა ისეთმა სიხარულმა აღიტაცა, რომ კინალამ დაარჩო თავისი შვილი აღერსით. **ვანმირ** მამას გარდაეხვია.

ბრაფი ისევ მუხლმოდრეკილი და გამოუთქმელის მადლობით გულსავსე ზვიმას კალთასა კოცნიდა.—

ბრაფინამ—რა მოხდა, ღვთის გულისათვის შემატყობინეთო.

მაშინ წამოდგა გრაფი და შემოკლებით განაცხადა, რაც ინდოელებისაგან ქონდა შეტყობილი.

—**ღმერთო** დიდებულო! სთქვა გრაფინამ და ხელი მოხვია ზვიმას: ეს ღვთის ანგელოზი ჩემთვის თავგაწირული თურმე იყო და ამასავე დაწვას უპირებდენ; ჩემთვის კვდებოდა და ჩემს სიკვდილს ამასა სწამებდენ! **ოჰ!** ღმერთო ძლიერო!...

—**შენაჰ?** დედოფალო, მოახსენა ზვიმამ. **შენს** მკვლელად მიგაჩნდით, შენის ავათმყოფობისა, მწუხარებისა და ტანჯვის მიზეზად, მომწამლველად და შენვე დაგვიფარე, შენვე გვიხსენ სასჯელისაგან! ვისი უფრო არის აქ ღვთიურა სათნოება და კეთილისმოქმედება?

—**მგეც** მაიღებს თავისს ჯილდოსაო, სთქვა გრაფმა; ეკეც მორჩება თავისს ავათმყოფობასა, მორჩება თქვენის ხელითა.—**აი**, ორი ჯერი გამკურნავი წამალი: ერთი ზვიმას, მეორე გრაფინას!

სთქვა ეს გრაფმა და თვითანვე ჩაყარა წამალი ორს ფიალაში: ზვიმამ აიღო, ერთი თვითან დალია და მეორე გრაფინას დააღევინა აღტაცებულმა, სიხარულისაგან გაგიჟებულმა.

ამისი მაყურებელნი ყველანი ცრემლებით ირეცხებოდნენ.—

ზახარებულმა გრაფინამ უფრო აღტაცებით მიიღო აღერსი თავის მეუღლისა, ბეატრისასი და ზვიმასი. როგორც ერთხორცნი ისე ეხვეოდნენ ერთმანერთს. ბრაფინამ მერე ზვიმას შვილი მოაყვანინა, გულს მიიკრა, მშობლიურის აღერსით აღავსო და სთქვა: დღეის იქით ისე ვექმნე მე ამას ჭეშმარიტად, როგორც მშობელი დედაო.

ახლა ბეატრისა და სხვა ისპანიელი ქალები ყველანი ზვიმას შემოეხვიენ. იმათს ამის წინაშე მოწიწებას და თითქმის თაყვანისცემას ზომა აღარა ქონდა. ბეატრისა, თითქო ტრფიალების ცეცხლით აღტყინებულთაო, სულ ხელებს უკოცნიდა, იმ ხელებსა, რომელსაც წუხელის ისეთი საშინელი ცილი დასწამა.

მს სიხარული და აღტაცება რომ დასცხრა ცოტაოდნათ, მაშინ ვიცეროიმ ხელი მოკიდა ჰანმირს და ზვიმას, გაიყვანა მოაჯირზედ, რომელიც დიდის ყაბახისაკენ იყო გადაკიდებული და დაუწყო ყაბახში მოგროვილ ხალხს ლაპარაკი:

„აი, ნებსითნი მსხვერპლნი ფიცისა და აღთქმისა, ჰანმირ და ზვიმა! ინდოელებო! ამათმა ღვთიურმა სათნოებამ და ჩემის გრაფინას გულის სიკეთემ

მოგაშორათ თქვენ დღეს სიძულილი, რომელიცა ქონდათ თქვენდამი ევროპიელებსა და რომელიც ახლა უსამართლოება-და იქნება. რაც თქვენ სამართლიანმა შურის-ძიებამ აღთქმა დაგადებინათ ძველთაგანვე, თუ არა თქვენვე,—სხვა ვერავინ აგხსნიდათ ამ აღთქმას და ახლა თქვენვე თქვენის ნებით აახსენით. აქამდენ მტრები იყავით ჩვენი და დღეის ამასიქით კეთილისმყოფელნი ხართ. ახლა არათუ კაცობრიული ვალი იქნება ჩვენი ყოვლის გულისმოდგინებით ვიზრუნოთ თქვენთვის და კეთილდღეობისა თქვენისათვის,—ვალი იქნება მადლობისა და, თუ კაცი ვართ, გარდავიხდით ამ ვალსა. ინდოელებო! ვინცა ვინ ახლა ამ სამარადისოთ კეთილსახსენებელ შეკრებილებაში იმყოფებით და არ იმყოფებით, დღეისიქით თავისუფალნი ხართ ყოველნივე მონობისაგან და თანასწორნი ჩვენნი, რომელნიც აქამომდე თქვენდა პურობელად მიგაჩნდით. ბიყვარდესთ ხელმწიფე და ერთგულექმენით, როგორც ჩვენა ვართ, მოძმენი ახლა თქვენნი; იხარეთ და იდღესასწაულეთ დღეს შეძინებული თავისუფლება თქვენი; შეიმუშავეთ მამულები, რომელსაცა გიმტკიცებთ საშვილიშვილოთ და უმეტეს მომვლელიც ექმენით ხესა მას სიმრთელისა, რომელიცა ნიჭი არს ღვთისა-მიერ თქვენთვის გაჩენილი და თქვენმიერ ახლა ევროპიელთათვისცა ნაზიარები.“

რასაკვირველია, სიხარული დიდი შეუყენა ქვეყანასა ამ ვიცეროის განცხადებამ.—

იმავე დღეს ზვიმა მორთეს სადღესასწაულო ტანისამოსით და სადედოფლო სამკაულებითა, დასვეს მდიდრულათ შემკობილს ტახტრავანზე; ბეატრისა და სხვა სასახლის ქალები, ისინიც სადღესასწაულოთ მორთულნი, თან გააყოლეს, ვიცეროის კარის გვარდია მიადევნეს და მთელი ლიმა ასე შემოატარეს. წინ ცხენოსანი ჰეროლდი მიუძღოდა და იძახდა: „აჰა ზვიმა, მეუღლე სათნოს ჰანშირისა და მხსნელი დედოფლისა ჩვენისა!...“ —

იმავე სასახლეში რაოდენიმე ოთახი ჰანშირსა და ზვიმას განუმზადეს, მასამსახურეები მიუჩინეს და ისე ეპყრობოდენ, როგორც ბატონების ტოლებს და სარწმუნო მეგობრებს.

ზრაფინას გული აღესილი იყო ახლა მორჩენის იმედით, სიხარულით და ზვიმას გაორკეცებულის სიყვარულითა.

ცივებამაც გაუშვა ორსავე ავთმყოფს.

მრთს კვირეზედ გრაფინა ისე უკეთ შეიქნა, რომ ცოტა უღონობის მეტი აღარა უჭირდა-რა. —

სადაც ხროვა იყო ზვიმას დასაწვავათ დამზადებული, ზედ იმ ალაგს გრაფმა სინჩომ მარმარილოს ძეგლი აღამართვინა და ზედ ოქროს ასოებით დააწერინა:

ზ ვ ი მ ა ს,

კათილის მყოფელსა კველის კვეყნისასა სამარადისო სახენებელათ.

ის ქინაქინის ქერქის ნაფქვი ვიცეროიმ მაშინვე

894.63

y561

— 44 —

ევროპაში გამოგზავნა და მას აქეთ გაჩნდა ჩვენს ქვე-
ყანაშიაც ეს უებრო ცივების წამალი. ათთაქებში
დიდხანს ეწოდებოდა ამ წამალს სახელად გ რ ა ფ ი ნ ა ს
ფ შ ხ ვ ნ ი ლ ი და შემდგომ დაერქვა ქ ი ნ ა ქ ი ნ ის
მ ა რ ი ლ ი.

შენი ბაქარ ქართლელი.

ქვენატკოცი.

19 ივლისი 1858.



894.63
y 561

ქუთაისის ამხანაგობის გამომცემანი:

ფასი.

1. სურათები ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან **ღუბუ მებრკელისა** 30 კ.
2. დედა-შვილის თავ-გადასავალი (აპენინის და ანდის მთები) **ღე-ამიჩისისა** 15 „
3. მწირი ლერლმონტოვისა ნათარგმნი **გრ. აბა-შიქის მიერ** 10 „
4. სვანური ზღაპრები შეკრებილი **თავისუფალი სვანის მიერ** 30 „
5. ვალჰელმ ტელი (შილლერიდან) **იოსებ სანებლიძისა** 15 „
6. ბურგენ რაინდი (ლეგენდა) **ცახელისა** 30 „
7. თხზულებანი **გ. წეჩეთლისა I.** 60 „
8. ჰაერი და სითბო შივოტოვსკისა ნათარგმნი **გ. შარაშიძისაგან** 15 „
9. თხზულებანი **გ. წეჩეთლისა II.** 60 „
10. საქართველოს ისტორია თავადის **ს. ბარათა-შვილისა** ნათარგმნი **ს. ხუნდაძისაგან I.** 30 „
11. საქართველოს ისტორია თავადის **ს. ბარათა-შვილისა** ნათარგმნი **ს. ხუნდაძისაგან II.** 30 „
12. ზვიმა ყანლისის თხზულებიდან გამოკრებილი **დიმ. ივ. ჟიფიანის მიერ** 10 „